ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №21

2017 წლის 28 ივნისი
ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №25 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო და თარიღი: www.matsne.gov.ge, 01.09.2014წ., სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.132.016221,) შეტანილი იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის დებულების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. სამსახურის სტრუქტურაში არსებული თანამდებობები

სამსახურის სტრუქტურაში არსებული თანამდებობები დგინდება მერიის საშტატო ნუსხით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ლაშა სირაბიძე**